საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება № 1050

ქ. თბილისი, 2009 წ. 26 11

სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისთვის“
უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 23 ოქტომბრის №901 ბრძანებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ „ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტისთვის“ უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პერიოდში, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 09 ნოემბრის №982 ბრძანების საფუძველზე, ადგილზე შემოწმდა სსიპ „ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტის“ სალიცენზიო პირობები (აქტი, ქ. ბათუმი, 13.11.2009წ.), ხოლო 2009 წლის 24 ნოემბერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართა ზეპირი მოსმენა (ოქმი, ქ. თბილისი, 24.11.2009წ.). ზეპირ მოსმენაზე დადგინდა:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტის სახედ სასწავლო უნივერსიტეტის განსაზღვრისა და სახელწოდების შეცვლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 09 ოქტომბრის №180 დადგენილების პირველი პუნქტის თანახმად, სსიპ „ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტს“ ეწოდა „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“.

2. სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს“ კანონიერ მფლობელობასა და სარგებლობაში უზუფრუქტის ფორმით გადაცემული აქვს ქ. ბათუმში, თამარის დასახლება №102-ში მდებარე შენობა-ნაგებობა საერთო ფართით – 5598,3 $მ^2$. სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული სასწავლო-სამეცნიერო მიზნებისათვის გამოსაყენებელი ფართი შეადგენს – 1978 $მ^2$.

ლიცენზიის მაძიებლის კუთვნილი კომპიუტერების რაოდენობა შეადგენს 9 ერთეულს, ხოლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი განისაზღვრება 26649 ერთეული წიგნით. სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“ ფლობს სასწავლო დანიშნულების ნივთებსა და სხვა მატერიალურ საშუალებებს, რომლებიც საჭიროა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის“ კანონიერ მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აკმაყოფილებს „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5^1 მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნებს;

3. ლიცენზიის მაძიებლის კანონიერ მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სტუდენტებს უქმნის შესვენებისა და ფიზიკური განვითარების, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებს ნაწილობრივ უქმნის თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილების პირობებს. შესაბამისად, სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი" აკმაყოფილებს „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს;

4. სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს" უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მიღების პირობით, შრომითი ხელშეკრულება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაფორმებული აქვს 39 პედაგოგიურ პერსონალთან, რომელთაგან 4 არის დოქტორის აკადემიური ხარისხის ან დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია პედაგოგიური პერსონალის რაოდენობის, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის, ძირითადი და დამატებითი სამუშაო ადგილების შესახებ, აგრეთვე უმაღლესი საგანმანთლებლო საქმიანობის ლიცენზიის მიღების პირობით დასაქმებულ კადრებთან კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული ხელშეკრულებები, შეესაბამება „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და მე-5[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნებს;

5. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ იქნა: ა) დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამები – 1. „დიზაინი"; 2. „ტელერეჟისურა". ბ) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები – 1. „ტელერეჟისურა"; 2. „დრამატული თეატრის რეჟისურა"; 3. „თოჯინების თეატრის რეჟისურა"; 4. „ტელეოპერატორი"; 5. „ტელეხელოვნება (რეპორტიორი)"; 6. „ხელოვნებათმცოდნეობა"; 7. „დირიჟორობა"; 8. „ვოკალი"; 9. „კომპოზიცია"; 10. „საკრავიერი"; 11. „ინტერიერი დიზაინი"; 12. „ტანსაცმლის დიზაინი"; 13. „ტექსტილის დიზაინი"; 14. „ხისა და ლითონის დიზაინი"; 15. „ფერწერა"; 16. „პანტომიმის თეატრის სამსახიობო"; 17. „დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო"; 18. „დრამისა და კინოს სამსახიობო". გ) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები – 1. „რეჟისურა"; 2. „ტექსტილის დიზაინი".

სსიპ „ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის" 2009 წლის 11 ნოემბრის №04-5880 (№08/38183-13) კორესპონდენციის და ზეპირი მოსმენის სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ოქმი, ქ. თბილისი, 24.11.2009წ.) თანახმად, სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის" მიერ წარმოდგენილი პროფესიული უმაღლესი განათლების, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები შეესაბამება წარდგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, ლიცენზიის მაძიებელი აკმაყოფილებს „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5[1] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნებს;

6. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2009 წლის 27 ოქტომბრის №06-13/14074 კორესპონდენციით, ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურისთვის, მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია ლიცენზიის მაძიებლის მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის თაობაზე. აღნიშნული ინფორმაცია არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, დაკმაყოფილებულად ჩაითვალა „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის

ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები;

7. სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ და „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-13 პუნქტის, მე-10 მუხლის მე-17 პუნქტისა და მე-13 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 09 ოქტომბრის №180 დადგენილების პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გაიცეს სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისთვის“ უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია;

2. დაევალოს ლიცენზირების, აპოსტილისა და ლეგალიზაციის დეპარტამენტს ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნიკა გვარამია

მ ი ნ ი ს ტ რ ი